

საქართველო

ქვეყნის თავისუფლების ბრძოლა - ქვეყნის თავისუფლებისათვის
ქვეყნის თავისუფლების ბრძოლა - ქვეყნის თავისუფლებისათვის

ქვეყნის თავისუფლებისათვის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს

№113 (1623)

8-10 ლექსიანი, 1997 წელი

ფასი 50 თეთრი

რა მსურთ რუსებს დარიალში

საქართველოში ზეწოლა რომ მსურთ ჩვენს ქვეყანაში თავისი გადღეობის გაძლიერების მიზნით (სამხედრო ბაზების დატოვება სამუდამოდ, ფოთზე კონტროლი და ა.შ.), ეს ცხადია, მაგრამ სხვა ცხადია მსურთ. დარიალის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილი უკვე დაიკავეს და თერგის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენაზე უკვე გადმოვიდნენ. ახლა უმინებენ მდ. ხდეს შესართავს, სადაც ისტორიული ციხეა (თერგის მარცხენი) და რუსების ციხეა (თერგის მარჯვნივ), ყაზბეგიდან მე-11-ე კილომეტრზე, რადგან ხდის ხეობას ქისტეთისკენ მიმავალი გზა აუყვება (განშტოებით - ხევსურეთისკენ) და რუსებს საშუალება ეძლევათ ქისტეთის მთიან დასახლებას არმიის ხეობაში ზურგში მოექცნენ. გარდა ამისა, მოხვევებში გავრცელებულია ხმა, რომ მთლიანად ყაზბეგის რაიონს უმინებენ - „საქართველო მაინც ვერ უელის და ბარემ ჩვენი იყოსო“ (და, ცხადია, საქართველო ამ ხელისუფლების ხელში არც მოუვლის, თუ ეს ვერ მოვლავს რუსების ინტერესებს). რუსების ჩვეულებრივი ტაქტიკა გრძელდება: ცოტ-ცოტას მოგაწვებიან, სანამდისაც „გადაყლაპავ“, და თუ გადაწყვეტავენ ხარ, ამ მოწოდებას გააგრძელებენ და გააგრძელებენ.

რა შეუძლია და მმართველს საქართველოს ხელისუფლებას? ჯერ ერთი, ქვეყანამ არ იცის, როგორია ქართულ-რუსული საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის იურიდიული მხარე, ანუ რა დოკუმენტები არსებობს დღეს „სადავოდ“ გამოცხადებული ზონის სტატუსის გასარკვევად (სინამდვილეში არაერთი „სადავო“ მონაკვეთი იქ არ არის. რაც „სადავო“ იყო, მრავალი წელია უკვე რუსებს დარჩათ), მეორე, ქვეყანამ არ იცის, როგორ მოხდა ქართველი მესაზღვრეების მიერ საგუშაგოდან უკან დახევა ანუ თავისი პირდაპირი მოვალეობის არ შესრულება (წესით, გენერალი ჩხეიძე კარგახნის გასამართლებელი უნდა იყოს ტრიბუნალის მიერ). მესამე, უნდა იყოს გაკეთებული მიმართვა გაეროს გენერალური მდივნისა და უშიშროების საბჭოს სახელზე და ოფიციალურად უნდა იყოს გაცხადებული საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებული აგრესიის ფაქტი. მეორე, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს რუსეთის არა მხოლოდ მესაზღვრეების, არამედ ყველა შეიარაღებული ძალის გაყვანა საქართველოდან საერთოდ. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, რადგან ამის გაკეთებას სჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც რუსეთის ყურმოჭრილი მონა არ არის. ფაქტობრივი ზეწოლის ქვეშ და ამ ზეწოლის საბაბით საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება საქართველოს ინტერესებს დათმობს იურიდიულად ანუ შეუქცევადი (გამოუსწორებადი) ფორმით, იმის ნაცვლად, რომ - თუკი მოგება დღეს არ შეგვიძლია - კონფლიქტის იურიდიული მხარე დააკონსერვოს და უკეთეს ისტორიულ მომენტს ელოდოს.

წინამდებარე შენიშვნის მიზანია იმის კონსტატაცია, რომ იურიდიული დათმობა დღეს, ფაქტობრივი ზეწოლის საბაბით, სახელმწიფოს მორიგი პირდაპირი დალატი იქნება.


ცოტა ხანში მოვასწავებთ მკითხველს რამდენსამე დეტალს, რომელიც შემოთქმულს უფრო თვალსაჩინოს გახდის.

ნოდარ ნათაძე


ზურაბ ჟვანია: რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ სივ ომს აწარმოებს

აღმასრულებელთა კოლეჯიკა ტარიალ ჭანტურიას ფორმულირებით:

ჩვენ არ გვინდა სივი ომი და არც სხელი ომი, სივი გვინდა სასივი და სხელი კიდეც დომი.



ოთხემა მოხეგემა სპაში ათასი მომხდური გაანადგურა ლარსის ხეობაში



შეიარაღებული შეტაკება ზემო ლარსში

„იფრინდა“-ს კორესპონდენტის ცნობით გუშინწინ საქართველო-რუსეთის საზღვრის ზემო ლარსის მონაკვეთზე, საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებს რომლებიც მესამე დღეა მშვიდობიან სამართებს აქციებს აწყობენ საქართველო-რუსეთის აღნიშნულ მონაკვეთზე, რუს მესაზღვრეებსა და სპეცდანიშნულების რაზმს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება. რუსულმა მხარემ სამართებს აქციის მონაწილეებს გამაფრთხილებელი ცეცხლი გაუხსნა. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნა ვლადიკლავი. დაუზუსტებელი მონაცემებით, შეტაკების შედეგად ქართული მხრიდან არიან დაზარალებულნი.

„იფრინდა“-ს კორესპონდენტს საქართველოს უშიშროების სამინისტროში დაუდასტურეს ზემო ლარსზე მომხდარი ინციდენტი და განაცხადეს, რომ სამართებს აქციის მონაწილეთა შეჭრების მიზნით, რუსული მხრიდან მართლაც იყო გამაფრთხილებელი გასროლა. სამინისტროს პრეს-ცენტრის ინფორმაციით, ინციდენტი არ ატარებდა სერიოზულ ხასიათს, იგი ამჟამად ამოწურულია და ვითარება კონტროლს ექვემდებარება.

„იფრინდა“-ს კორესპონდენტის ცნობით, ზემო ლარსში უკვე გაუმჯობავდა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვახუშტი, ასევე საქართველოს პარლამენტისა და უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები. (იფრინდა)

ქართული
ლიტერატურა

ქართველი ახალგაზრდობის მიმართვა ოსეთის ახალგაზრდობისადმი

ამ დღემდე რუსულმა მხარემ ჩრდილოეთ ოსეთში გააგრძელა ხმები, თითქოს ქართველი ახალგაზრდები მოადგენ საზღვარს და ალანიაში გადასვლა სურდათ. ამის შესახებ „იფრინდა“-ს აცნობა აქციის მონაწილე პარლამენტარმა დეტეშელაშვილმა, რასაც, მისი თქმით, მოჰყვა საზღვართან ჩრდილოეთ ოსეთიდან რამდენიმე კაცი საგან შემდგარი ჯგუფის მოსვლა.

ამასთან დაკავშირებით, გუშინ აქციის მონაწილეებმა მიმართვა გააგრძელეს სრულიად ოსეთის ახალგაზრდობის ყრილობისადმი, რომელიც ამ დღეებში ვლადიკავკაზში მიმდინარეობს. მიმართვას ხელს აწერს აქციის მონაწილე ახალგაზრდულ ორგანიზაციითა 35 წარმომადგენელი. მიმართვის ავტორები ოსეთის ახალგაზრდობას მოუწოდებენ არ წამოვიდნენ პროვოკაციებს. ჩვენ არაერთი პრეტენზია არ გვაქვს ოსეთის მიმართ, ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ რუსეთის ხელისუფლებას საქართველო-რუსეთის საზღვრის გადატანასთან დაკავშირებით. (იფრინდა)

ნადიბაიძე მოსკოვის

საკვადეოლოგი მოათავსეს

რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრთა 6 დეკემბრისთვის დაგეგმილი შეხვედრა, გენერალ-ლეიტენანტ ვნადიბაიძის მოსკოვში შეუძლოდ გახდომის გამო გადაიდო - აცნობეს „იფრინდა“-ს თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურიდან.

ვნადიბაიძე მოსკოვში 5 დეკემბერს საღამოს ჩაფრინდა ბრიუსელიდან, სადაც იგი ევროატლანტიკური საბჭოს წევრი და კანდიდატი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა ერთობლივ შეხვედრაში მონაწილეობდა.

ექიმების ცნობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრს მალე სიციხეები აქვს, რაც, შესაძლებელია კლიმატური ცვლილებებით ან რომელიმე გრიპული ვირუსით იყოს გამოწვეული. მათივე დაუნიშებელი მოთხოვნით, 5 დეკემბერს ვნადიბაიძე მოსკოვის №2 სამხედრო კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მას მკურნალობის ერთკვირიანი კურსი ჩაუტარდება. (იფრინდა)

ავსაზური მხარე ქართველ

პარტიზანებთან საბრძოლველად

შეიარაღებულ ჯგუფებს ამჟამად

ქართველ პარტიზანებთან საბრძოლველად აფხაზეთში შექმნილი შეიარაღებული ჯგუფები წვრთნებს ვადიან ეშერის ბაზაზე და მათ რუსი ინსტრუქტორები ამზადებენ. ქვედანაყოფებში, ძირითადად, რუსი ეროვნების მებრძოლები არიან, ხოლო აფხაზები და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელები პირადი შემადგენლობის გაზრდის მიზნით არიან მათში შეყვანილი, - უთხრა პრაიმ-ნიუსს ერთ-ერთმა ქართველმა პარტიზანმა ო.ე.-მ.

აფხაზური ტელევიზიის ცნობით, ნოემბრის ბოლოს აფხაზთა შს მინისტრმა კჩაჩმა თხოვნით მიმართა პრეზიდენტ არძინას შს სამინისტროსთან შეიქმნას სპეცდანიშნულების ბატალიონი, რომელსაც დაევალება ქართველი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლა. მინისტრი თავის მიმართვაში მოითხოვს 1998 წლის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას ამ ბატალიონის დასაფინანსებლად.

ანალოგიური ქვედანაყოფები შეიქმნება სოხუმის ხელისუფლების უშიშროების და თავდაცვის სამინისტროსთანაც.

ქართველი პარტიზანები მიიჩნევენ, რომ ეს ბატალიონები საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიული აქტების ჩასატარებლად მზადდება.

აფხაზური სახალხო კრების ვიცე-სპიკერი, აფხაზეთის გამორის ტიტულის მფლობელი, ეპტერანთა კავშირის თავმჯდომარე, ხარაბუა მიიჩნევს, რომ ეს ბატალიონები აფხაზი და ჩრდილო კავკასიელი ბოევიკებით უნდა დაკომპლექტდეს, რომლებმაც ომში დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება აფხაზ ხალხისადმი. (პრაიმ-ნიუსი)

ვალს გადახდა უნდა - მოითხოვს

სამინისტრო

სამართლებლო ტელე-რადიოკორპორაციას კავშირგამბულობისა და ფოსტის სამინისტროს საკმაოდ სოლიდური ვალი აქვს, იგი გასული წლის დავალიანებასთან ერთად დღეისთვის 2,5 მლნ ლარს შეადგენს.

როგორც გაა-ს კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, ოფიციალურად ტელევიზიას საღამოს 6 სთ-დან 12 სთ-მდე მაუწყებლობის თაობაზე აქვს ხელშეკრულება დადებული, რეალურად კი ეს გრაფიკი ყოველდღიურად ირღვევა დიდის და ღამის განხარგრძლიებული მაუწყებლობის გამო. გარდა იმისა, რომ კავშირგამბულობის სამინისტროს კანონიერი 6 საათის მაუწყებლობის საფასურს არ უხდებიან, მას საგადასახადო სამსახურისთვის იმ მაუწყებლობისთვის გადასახადების გადახდაც უწევს, რომელსაც სამინისტროს ქალაქიდან არაეინ უნახლაურებს. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ კავშირგამბულობის სისტემის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ტელერადიოკორპორაციას ემსახურებიან, 4 თვეა ხელფასები არ მიუღიათ. (გეა)

ზურაბ ჟვანია: რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ ცივ ომს აწარმოებს

კლასრულელებთან პოლიტიკა ტარიელ ჭანტურიას ფორმულირებით:

ჩვენ არ გვინდა ცივი ომი და არც ცხელი ომი, ცივი გვინდა საცივი და ცხელი კიდეც ღომი.

„ჩვენმა მამებმა კიდევ ერთხელ გაგვირეს!“ - სიმწრით ამოთქვა ლარსის გვირაბიდან რუსეთის სამხედრო ყაჩაღებისაგან გამოდევნილმა ახალგაზრდამ. ამჯერად ქართველთა წინააღმდეგ ნიკოლაევის სპეცნაზი „სიგმა“ იქნა გამოყენებული. ელექტროშოკითა და ხმაურიანი ავტომატებით შეიარაღებულებს სახეზე ნიღბები ეკეთათ. ეტყობა ცივილიზაციას ეზიარენ და მომწამლაეი გაზი ორღესურ ნიხაბთან ერთად ჯერ ნაადრევად მიიჩნიეს. თუმცა ყველა „მამას“ არ გაუწირავს ჩვენი შეილები, მაგრამ ვინც ლარსის აქციას ესწრებოდა, ან ვინც თბილისში იღებდა ხმას, არ იყვნენ უფლებამოსილები სერიოზული გადაწყვეტილება მიეღოთ. ქართული დიპლომატია კი, მცირედის გამოკლებით, დღესაც დუმს. ეტყობა, მორიგ პრეზენტაციებზე ყელში ძეგალი გაეჩხირათ. ხოლო ვინც ხმას იღებს, რუსეთის ადვოკატობა უქისრია და დეზინფორმაციით გვეკვება: „იმათმა თუ გადმოიწიეს, ჩვენც წინ ვართ

გადასული“, „საზღვრის საკითხი გასარკვევია“, „იქ არაფერი ტრაგედია არ ხდება“, და ასე შემდეგ. ასეთები ჯობს სადმე შორს გადაიხვეწონ ან ვარდიკოსავით მოსკოვის სპეცსოსპიტალს შეაფარონ თავი, რადგან ქრონიკული რუსული ვირუსისაგან საშეგლი მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულია, ეს წამალი კი მათთვის მიუღებელიცაა და მიუწვდომელიც. „კიდევ ერთხელ გაგვირესო“, აბა რას იზამდნენ, როდესაც ზოგს მხოლოდ თავისი უბანი და სოფელი მიაჩნია სამშობლოდ, ხოლო დანარჩენი საქართველო თავისგან დაპყრობილად, თუ არ გვერათ, შემძლია ერთი სოფლის გადასახვევთან მიგოყვანოთ, სადაც პირდაპირ ასე წერია: „მეცანი და მეანის სამშობლო“ (ამ კაცის სახელის ხსენება ახლა არც მე მეკადრება და არც მას). ზურაბ ჟვანიამ გაბედულად თქვა: „რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ ცივ ომს აწარმოებსო“. მართალია, ეს ცივი ომი უკანასკნელი რვა წლის მანძილზე

ძალიან გამძაფრდა, მაგრამ იგი ორას წელზე მეტს ითვლის და იგი მანამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენი საკუთარ ჯიბეს მაყურებელი, საკუთარ მუცელს აყოლილი სახელმწიფო კაცები ვილაციის ამოთხრილ-გაცოცხლებულ ანდაზას: „დათვი თუ დაგტორავს, ბაბაია დაუძახეო“ არიან ამოფარებული. ასეთმა მიდგომამ „ცივი“ შეიძლება „ცხლად“ აქციოს, რადგან ქვეყნის „პანამიზაციას“ ჯერ კიდევ აფხაზეთში ჩაეყარა საფუძველი და როგორც დღევანდელი მოვლენები აჩვენებს, სხვა რეგიონებშიც შეიძლება წარმატებით განეთარდეს. ხოლო რაც შეეხება ჩვენს მიმართულებას, ცივისა და ცხელის მიმართ კვლავ თავისი განსაკუთრებული მიდგომა ექნებათ: „ჩვენ არ გვინდა ცივი ომი და არც ცხელი ომი, ცივი გვინდა საცივი და ცხელი კიდეც ღომი“.

მანანა იაშვილი

რუსეთის საბარაო საქმეთა სამინისტრო საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ J N U რუსების მორიგი ცინიზები

„იფრინდა“-ს ცნობით, რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი“-მ გააგრძელა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „მოსკოვში ყურადღება მიაქციეს ბოლო დროს საქართველოს ოფიციალური პირების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და მასმედის განხორციელებულ ტენდენციურ გამოსვლებს, რომლებიც ეხება, როგორც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს მთლიანად, ასევე ცალკეულ ასპექტებს. მაგალითად, ბატონ ზ. ჟვანიას გამოხატულებაში, რომელიც თვლის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი

წელის დონეზეა და ისინი „ცივი ომის“ ხასიათს იძენენ, ვერ ვხედავთ საჭირო გულახდილობას და მისწრაფებას გაუფრთხილდეს რუსეთთან ურთიერთობებს. ამგვარი გამოხატულებები ეწინააღმდეგება თბილისის მისწრაფებას ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან. ზ. ჟვანიას არც აფხაზეთში მანდარინთან დაკავშირებული სკანდალი გამოიჩინა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თბილისი იმ პირთა გადღენის ქვეშ ექცევა, რომლებიც დიდი ხანია უტყვენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს. ცდილობენ თავიანთი არაკეთილსინდისიერი მიზნებისათვის გამოიყენონ გართულებები, რომლებიც

დროდადრო ჩნდება ნებისმიერ ქვეყნებს შორის. გამონაკლისს არც რუსეთი და საქართველო წარმოადგენს. ამ სიროულებების ომის რანგში აყვანა, იქნება ეს მანდარინთან, თუ სპირტთან დაკავშირებული, ექტრემისტული ძალების მიერ, მცდელობაა გადააბრალოს რუსეთს საქართველოს შიდა პრობლემები. რაც შეეხება რუსეთს, ის მზად არის განავითაროს თავისი ურთიერთობები საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან. პროცესი უნდა წარიმართოს ურთიერთპატივისცემისა და ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.“ (იფრინდა)

ილია ზუგდიდს ჩაბრძანდა...



ბასულ კვირას უჩვეულო ხალხმრავლობა იყო ზუგდიდში. ამ დანსრულმა დღემ ილია ჭავჭავაძის 160-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღესასწაული, რომელიც ფართოდ აღინიშნა ილიას მშობლიურ ყვარულში, საბურთალოს, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

ზუგდიდში, ყოფილი სასტუმრო „ორიენტის“ აბილუბი, სადაც ამ ქალაქში სტუმრობისას ილია ჩამოხვდა, აღიარდა მოძაზრე თანამოემართლებელნი ილია ჭავჭავაძის სასტუმრო აბილუბი.

ამვე ბაიბართა დიდი მიტინგი, რომელიც შესანიშნავად იყო ორგანიზებული და მართლაც კარგ სახანაოებს დაამსგავსა მსახიობმა გორის წიგნიანმა. ქალაქს ღვთის თვალი ადგა. თბილისიდან კალტოვებით ჩასული სტუმრები უხარბულად იმშობნებოდნენ ამოზრდვითადაც მზის სხივებში ილია ზუგდიდელის მთელად „მიიტვისას“, რაც პირველ შუა ღამის ბაგონებში ასე დაფიქსირდა: „ილიას ახალი კმელი რომ არ აღმართულიყო ზუგდიდში, ჩვენ ყვარულსაც წავართმევდით მასო“.

მასპინძლებმა — სამხრეთის მხარის ბუბარბარობა, გატონმა გონდო ჯიძიამ და ზუგდიდის მერმა, გატონმა ლერი ზითანავამ, სამხრეთის სხვა რაიონების გამგებლებთან ერთად, ყველაფერი იღონეს, რათა დიდი წინაპრის — ილია ჭავჭავაძის კმელის გახსნა სათანადოდ აღნიშნულიყო. მიტინგის შემდეგ ზიმი გაბრძანდა ზუგდიდის თეატრში. სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი ზურაბ შვანია (რომელმაც თეატრში კალიან კარგი სიტყვა წარმოთქვა), საქართველოს მფარველთა კავშირის თავმჯდომარე, ბ-ნი თამაზ წიგნიანი (რომელმაც თეატრში ასევე კალიან კარგი სიტყვა წარმოთქვა). სტუმართა შორის მოუცვლელი ბაგონი არ იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ მისი ასევე კალიან კარგი სიტყვა წაიკითხა გონდო ჯიძიამ (ეს სიტყვები დაიკვირა „ლიტერატურული საქართველოს“ ბასული პარასკევის ნომერში). თეატრში ერთხანით ენაცვლავდნენ სიტყვით ბაგონული მფარველები: რეზო ჭიჭიანი, ბენო კალანდია, მურმან ჯგერაძე. სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე გამგებლების გამგებელი ბ-ნი გაბრი ხატიანი და მისი თვალი სამხრეთის რეგიონში ბ-ნი ნუზარ ანთელავა.

იმ დღეს ვერ გაარჩევდით, ვინ პოზიცია იყო და ვინ — ოპოზიცია. ილიამ ყველა ერთი აზრით დაგუბა. ილიას დღე ზუგდიდში ერთობის დღეც იყო.

ჩვენი გაზეთის რედაქტორს, გატონ ნოზარ ბრიგადაშილს, მიტინგებზე მიღებული ბაგონების გათვალისწინებით, ზუგდიდის ხალხმრავალ მიტინგზე ბაგონებსა სთხოვეს...

ბრძანებთ ამ სიტყვის სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

პაპ ლავანიძე

გაზეთ «საქართველოს» რედაქტორის ნოდარ ბრიგადაშილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ზუგდიდში — ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე

სამშობლოე ჩემო, მაშინ, როცა შენ სულს ღაფავდი. ხოლო შეიღებო, დარდიმანდები, ტაშ-ფანდურით ზეცას იკლებდნენ, ოთხივე კარი მოგდიდავენ და გაიტანეს ყოველივე გარეთ, უკლებლივ... ბებერი არის, მაგრამ გული, მაინც უცემსო! ვაგლახ, შეიდივე ხმა ისმოდა ამ სიმღერაში... ზოგმა გაგყიდა ოცდაათ ვერცხლად, ზოგმა გაგცვალა ჩინოების ვიწრო მუნდირში! მოვიდა მაშინ შეიღი მაშერადი, შენს სასთუმალთან ჩაიხოქა, ცრემლები ღვარა შეხეთ, სტირისო, რად არ მღერის! შეხეთ, სტირისო! აიბაგრენ და აიშაღნენ მესიმღერენი... როცა ტყეს ჭრიან, არ იციან მუხის დანდობა!

და წიწამური, აქამომდე, იმგვარად გოდებს, კაცი, რომელიც ყაჩაღისთვის ითხოვს შენდობას, იმ ყაჩაღებმა, ყაჩაღივით, შარაზე მოკლეს! ძვირფასო მეგობრებო, შარაგზის ის ყაჩაღები, რომელთაც დიდი ილია მოკლეს, დღესაც დაძრწიან საქართველოში. ის ტყვიან, რომელმაც ილიას გულში გამოიარა, დღესაც ზუზუნებს ჰაერში და იმ მამულიშვილთა გულებს დაეძებს, ილიას გზა რომ აურჩევიათ ცხოვრების ასპარეზზე. დიდებულად ბრძანა ვაჟა ფშაველამ, ილიას მკვლელებს რომ შესძლებოდათ, საქართველოსაც მოკლავდნენ. აკი კლავდნენ კიდეც... აკი კლავენ კიდეც... ვიმეორებ, ილიას მკვლელებმა ჩვენს დროშიც ესროლეს საქართველოს. ვინც ზუგდიდი დაარბია, ვინც სამეგრელოს ესროლა, მან ესროლა საქართველოს, მან შიგ გულში დასჭრა საქართველო, ვინაიდან სამეგრელო გულთა საქართველოსი. და ჩვენ, მეგობრებო, ყველანი, ვინც აქ ვდგავართ, გულდაჭრილები ვართ. თუმცა შარაგზის ყაჩაღებმა ფიზ-

იკურად კი, მაგრამ სულიერად ვერ მოკლეს ილია. ვერ მოკლეს საქართველო, ვერც მაშინ და ვერც დღეს! დიდ არს ძალა, ბედი მღვერისა! დიდ არს ძალა, ბედი მღვერისა! დაისაჯა ყველა, ვინც საკუთარი სისხლის და ხორცის, საკუთარი ძმის წინააღმდეგ ხელი აღმართა. დაისჯება ყველა, ვინც ისედაც მტერმრავალ საქართველოში, საკუთარი მოძმის წინააღმდეგ აღმართავს იარაღს... ძვირფასო ზუგდიდელებო, სამეგრელოს მკვიდრნო, ქართველებო, თქვენ ცოტნე დადიანის სულის ნატეხნი ხართ. თქვენ ილია ჭავჭავაძის სულის ნატეხნი ხართ. ჩვენ ერთად მოვიშუშებთ იარებს. ჩვენ ერთად გადავრეკავთ მტერს, რომელთაც შინააღმდეგობით დაჭრილ სხეულზე გადაგვიარეს. ილია ჩამობრძანდა სამეგრელოში. ილიას სიყვარული გაგვამთლიანებს. ილია დღესაც ჩვენი წინამძღოლი და მასწავლებელია. მე გავიხსენებ დღევანდელი სიტუაციისათვის შესაფერის ორ გაკვეთილს დიდი ილიას გაკვეთილებიდან. გაკვეთილი პირველი: როცა გადამთიელი აღიხანოვ-ავარსკი ქართულ მილიციას გურიის დასარბევად მიუძღოდა, ჯარს წინ გადაეღობა ილია ჭავჭავაძე და შესძახა: ეგ თოფები

იმათ დაუშინეთ, ვინც დაგირიგათო. აწი მაინც ვისმინოთ ხმა ილიასი და თუ ვინმე გამოჩნდება, ძმას რომ ძმაზედ წაასისინებს, მოტყუებულ ბიჭებს შეეძახოთ — „ეგ თოფები იმათ დაუშინეთ, ვინც დაგირიგათ“. აწი მაინც ვისწავლოთ ილიასათვის ყურის არდაგდებისათვის მოგდენილი სასჯელის, ილიას გზიდან გადახვევისათვის მიღებული მწარე ნაყოფის მაგალითზე. ილიას მეორე გაკვეთილიც თოფთან არის დაკავშირებული. „თავისუფლების მშოენელი, ამქვეყნად მარტო თოფია“ — ბრძანებდა ეს ღმერთკაცი. და თუ ჩვენ პირველსა და მეორე გაკვეთილს კარგად გავიცნობიერებთ, მალე დადგება ის დღე, როცა მთელი საქართველო, რომლის მოწინავე ფაღანგი სამეგრელო იქნება, ცოტნე დადიანის შეიღთაშვილები იქნებიან, შიშის ზარს დასცემს ჩვენს ახლომოყურადე მტრებს, საქართველოს მთლიანობის მტრებს, ავერ ენგურს გადაღმა, აქედან ერთ ფიორა მანძილზედ რომ გალაღებულან. მაშინ არავეის დასჭირდება მოსკოვის ლუდხანებში გაზრდილი ძალადმაცხონე გამშველებლები, აქ ზუგდიდის ქუჩებში რომ დაძრწიან... ძვირფასო ზუგდიდელებო, ქართველებო, ილია ზუგდიდს ჩამობრძანდა. წინ სიყვარულისაკენ, წინ ილიასაკენ!

ომი და რევოლუცია

პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლუცია - ეს ორი მოვლენა პქმის მე-20 საუკუნის 10-იანი წლების სახეს...

ამ ხანებში გრიგოლ რობაქიძე ენერჯიულ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი წერილები ძირითადად ორ გაზეთში იბეჭდებოდა...

რას წარმოადგენს კულტურული ადამიანი? - სუამს კითხვას გრიგოლ რობაქიძე და აგრძელებს საუბარს...

ამგვარ წარმოდგენას კულტურაზე გრიგოლ რობაქიძე ობიექტულად წარმოადგენდა თვლის. იგი იზიარებს...

მათ შეხედულებას მოკლედ ასე გადმოვცემს გრიგოლ რობაქიძე...

კულტურა სამშენიველის ზეშთაბეჭებაა. მისი თავდაპირველი სახის ხორცშესხნაა. მაგრამ თუ სამშენიველი მხოლოდ ადქმის კონაა...

კულტურაში გვერდობენ ცხოვრობს მკაფიო, ინათობისა და სიცოცხლის მფრქვეველი სხეულები...

გაგრძელება. დასაწ. იხ. "საქართველო" №109-111

საქართველოში კულტურის ანუ ბრიტოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

ბაც და უსხულო სიდიადეც ყოველგვარ ხორციელდებაზე ამაღლებული სულისა. კულტურისათვის ერთნაირად მთავრდება განმარტებული აზრის პირქუში შრომაც და მოზიმი ხორცის ენებიანი სიმღერაც...

როცა კულტურაზე ესაუბრობთ, დაინებულნი მზერა უნდა მთავრობოთ კულტურის შემოქმედის და კულტურის ქმნილების ურთიერთდაამოკიდებულებას...

კულტურის ასეთი განმარტება მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით, ისტორიის სტიქური მომენტის გასაზრებლად...

კულტურის თვისება-ხასიათის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძე კონკრეტულად მსჯელობს...

რუსეთის კულტურაზე საუბრისას იგი ეყრდნობა ნიკოლოზ ბერდიაევის წიგნს „რუსეთის სამშენიველი“...

ნიკოლოზ ბერდიაევი რუსეთის სამშენიველში არსებულ სამ წინააღმდეგობას გამოჰყოფს პირველი გახლავთ ის, რომ რუსეთი ერთდროულად არის არასახელმწიფოებრივი ქვეყანაც და ყველაზე უფრო სახელმწიფოებრივიც და ბიუროკრატიულიც...

რუსეთმა მისცა მსოფლიოს ისეთი მასშტაბის ანარქისტები, როგორიც იყვნენ მიხეილ ბაკუნინი, პეტრე კროპოტკინი, დიეგო ტოლსტოი (მისი რელიგიური მოძღვრება ანარქიზმი). „რუსის ხალხს თითოეუ სახელმწიფოსაგან განთავისუფლება უფრო სურს, ვიდრე თავისუფალი სახელმწიფო“ - ასე ეწერს ბერდიაევი...

მეორე გახლავთ ის, რომ რუსეთი ერთდროულად არის არანაციონალისტური ქვეყანაც და შოინისტურიც...

თუ ვერომა ნაციონალისტურია, რუსეთი არ არის ასეთი. რუსი ხალხისათვის უცხოა აგრესიული ნაციონალიზმი...



ეთის ნაყოფს მას მხოლოდ თავისთავი სწამს. მასინაც კი, როცა რუსეთი ცოდვას სჩადის, თავისთავს „წმიდა რუსეთს“ უწოდებს მას სძულს ებრაელები, პოლონელები და სხვები...

შესამე წინააღმდეგობა გახლავთ ის, რომ რუსეთი ერთდროულად არის სულის უსაზღვრო თავისუფლების ქვეყანაც და სერვილიზმის მორჩილების ქვეყანაც...

რუსი თავის ბუნებით ყარბია, მოგზაური, მოხეტიალე (странник). „სტრანნიკი“ ყველაზე თავისუფალი არსებაა. იგი დახეტიალობს დედამამაზე, მაგრამ არსად ფეხს არ იკიდებს...

მაგრამ ამის პარალელურად და ერთად რუსეთი სამშენიველი სერვილიზმისა და ყურმოჭრილი მორჩილების ქვეყანაცაა. ვაჭრები, ხარჩები, ჩინოფიციები, სასულიერო წოდება, გლეხები, ინტელიგენცია - ყველა შინაგანად მორჩილია...

ბერდიაევი რუსეთის ამგვარ მდგომარეობას იმით ხსნის, რომ რუსეთის არსი ქალურია. მასში არ არის ვაჭური, რუსეთი უფრო კეთილი საქირისა, ვარიაგების მოწვევიდან დაწყებული დამოხრებული გერმანელების გაბატონებულ რუსეთის მმართველ აპარატში...

„ვაჭური რუსეთი - ეს ან გერმანულია, ან ფრანგული, ან ბერძნული (ძველად). რუსეთის ცხოვრებას პელობს ხან მარქსი, ხან შტანინერი, ხან კანტი, ხან კიდევ რომელიმე სხვა უცხო ვაჭ. აპოლოლი, დემრი ვაჭური გაფორმებულია. ჯვარ არ შესულა დიონისურ რუსეთში. თითონ დიონისოზში რუსეთისა ბარბაროსულია და არა პელონიური. ასეთია საშინელება რუსეთისა. აქედან მხოლოდ ერთი გასავალია: რუსეთის წიაღში უთოოდ უნდა მოინახოს ვაჭური ელემენტები. მისი მონახვა თანამედროვე ომშია შესაძლო. რუსეთი ამ ომში გმირულად არის დაჭიბული და ეს აღბათ ვაჭაცობას წარმოშობს“ - ასე ეწერს ნიკოლოზ ბერდიაევიან ერთად გრიგოლ რობაქიძე თავდაპირველად რუსულად გამოქვეყნებული წერილის ქართულ ვარიანტში („საქართველო“, 1917 წ. №232-3).

თუ ნიკოლოზ ბერდიაევი რუსეთის რაობას ეძებდა, სიმონ ფრანკი გერმანიის რაობის ამოხსნას ცდილობს გრიგოლ რობაქიძე დაწერილებით გადმოსცემს სფრანკის სარკვევის - „გერმანიის სულიერი არსის შესახებ“ - შინაარსს. გერმანიის რაობის შესახებ კიდევ ორი ევროპული მწერლის - დანიელი კიოვერ ბრანდესის და ბელგიელი მორის მეტერლინკის - შეხედულებას გვაცნობს გრიგოლ რობაქიძე.

წესი (კანონი) არ ცნობს გაჭირვებულს. ვაჭრ-მანელთა სიმკაცრე კი არ არის, არამედ, ამ სიმკაცრის გვემზომიერება და მოუჭირებლობა. გერმანელთა სახელმწიფო მანქანა სისტემატურად აღნობს ადამიანთა მასადას თავის ძლიერების რკინად და ცემენტად. ამ ძლიერებისათვის ადამიანი მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება. გერმანელი ხალხი ღრმად ერთგულია სახელმწიფოსი და ხელისუფლების. მაგრამ ეს ერთგულება მონობა კი არ არის, არამედ კერპთაყვანისმცემლობა. გერმანელებმა არ იციან მტრის დანდობა, მაგრამ არც თავისთავს ინდობენ. ისინი ამარცხებენ მტრებს დარაზმულობით, თავგანწირვით და კოლექტური ენერჯიით. ობიექტური მათი უზნეობა არ არის პირადი გარყვნილება (როგორც ეს გვეხედება უფრო დახვეწილ კულტურებში). პირიქით, იგი ერწყმის გარკვეულად წყობრივ სიჯანსაღეს გერმანელი ხალხის სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ცხოვრობს ზემოთწერილი წყობრივი ენერჯია, რომელიც გამოიხატება ფორმულით: შენ ვაღდებუდი ხარ, მაშასადამე შეგ იძილა. ამრიგად, გერმანელის სულიერი ადგ. „ბარბაროსულია“, ამ სიტყვის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გაგებით მაგრამ როგორ შეუთავსო ერთმანეთს გერმანელთა „ბარბაროსობა“ და მათი მაღალი კულტურა? ასეთი შეთავსება ხომ უშეძლებლად არსებობს მაგრამ შეთავსება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. უნდა ვაჩვენოთ მათი თეორიული შეკრებების შესაძლებლობა, რადგან „ბარბაროსობა“ აღნიშნავს არა კულტურის დონეს, არამედ კულტურის განვითარების ტიპს. გამოხატავს სულიერი ტიპის თვისობრიობას და არა კულტურის განვითარების ხარისხს. ამ თვალსაზრისით, „ბარბაროსობისა“ და კულტურის მორიგება შეიძლება.

უნდა ვაღიაროთ, რომ გერმანელის სახალხო ხასიათის გამსაზღვრელი მომენტი ქმედითობაა. ლაბინცმა შექმნა მოძღვრება მონადეზე, როგორც ქმედით ძალაზე. კანტმა პრაქტიკულ გონს უპირატესობა მიანიჭა თეორიულზე. ფიხტეს ფილოსოფია გმირული ნების დაუოკებელი მეტაფიზიკაა. მეტელის ფილოსოფია, მიუხედავად საზოგადოებრივ ინტელექტუალიზმისა, გაუფრთხილია კოლექტური შემოქმედების გრძნობით. გოეთემ, ფაუსტის პირის იქცევა - პირველად იყო საქმე. შილერის პოეზია ახასიათებს გმირულ-ეპიკური ნება-განწყობილება, და საერთოდ, ლუთერიანი დაწყებული კანტ-ნიცშემდეგ დამთავრებული გერმანულ აზრში ისმის ერთი მოტივი - ზოგადი ნიშნის მოტივი. გერმანელის ერთგული თვისება ქმედითობა - საქმიანობა, სიფიხლე, სიამაგე, ის წყობრივი კომპლექსი, რომელიც გამოიხატება უთარგმნიელი გერმანული სიტყვით Tuchtigkeit.

ასე უკუქცის გერმანიის რაობა სიმონ ფრანკი და ასევე „თანამედროვე გერმანიის“ ახალი წარმართობა. წარმართობის დამარცხება მხოლოდ „ქრისტეს აღმოსავლეთით“ (ვლადიმერ სლადკოვის ფორმულა) შეიძლება. რომ გათმარჯვოთ, „ქრისტეს აღმოსავლეთის“ ჭეშმარიტი შეიძლება უნდა გაეხედოთ.

ორ ძირითად საკითხში არ ვთანხმება გრიგოლ რობაქიძე სიმონ ფრანკს.

ჯერ ერთი, რამდენად სწორად ესმის სიმონ ფრანკს ვლადიმერ სლადკოვის ფორმულა - „ქრისტეს აღმოსავლეთით“. გრიგოლ რობაქიძე თვლის, რომ ესლონიკისათვის ქრისტიანობა არ არის ქრისტეს მოძღვრება, იგი არის მოძღვრება ქრისტეზე. ქრისტეს დემოკრატიზაცია არის ცენტრალური მომენტი ქრისტიანობისა. დემოკრატიზაცია მსოფლიოში და მსოფლიოს სამშენიველი ადის დემოკრატიზაცია. ორმხრივი პროცესი ხდება: დემოკრატიზაცია შემოქმედებით განხორციელდება მსოფლიოს შემოქმედებითი ფერისცვალება. ამ ორი პროცესის შეხვედრის პირადი მომენტი და მათი კონკრეტული ურთიერთშედეგია არის ქრისტე (ლოკოსი). ასეთია ესლონიკის შემხედულება. იზიარებს ამას სფრანკი, როცა იგი იყენებს ზემოთხსენებულ ფორმულას? ძალიან საეჭვოა, რადგან არც განხილვად წერილში და არც სხვაგან იგი პირდაპირ მასუხს არ იძლევა. სფრანკი უფრო კულტურული პუმიანსტია. კულტურული პუმიანსტის კი დასკვნაა სარც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქრისტიანობიდან გამომდინარე და არა მისი (ქრისტიანობის) ამოსავალი წერტილი.

მეორეც, გრიგოლ რობაქიძე არ იზიარებს სფრანკის აზრს, რომ კულტურის „ბარბაროსული“ ტიპი შეიძლება დაემთხვას კულტურული განვითარების მაღალ საფეხურს ამ დებულებას გრიგოლ რობაქიძე ორი კუთხით იწინებს. პირველი ის, რომ მსგავსი აზრი პირველად ნიკოლოზ მიხაილოვსკიმ გამოთქვა. სფრანკი კი მას არ ასახელებს ამასთანავე დებულება უკვე კარგახანია უარყოფილია. მეორე ის, რომ ამ დებულებას ის საბუთად არ გამოადგება გერმანიული კულტურის ქმედით ხასიათი. მეორე რა, - კითხვობს გრიგოლ რობაქიძე, - რომ გოეთემ თქვა - პირველად იყო საქმე. ამისათვის იგი „ბარბაროსია“? მეორე რა, რომ ლუთერი, კანტი, მეტელი თითონ მისწრაფებაში ენერჯიული, ქმედითი არიან. ამისათვის არიან „ბარბაროსები“? რა გამოდის - რამდენად ქმედითია კულტურა, იმდენად „ბარბაროსულია“? ქმედითობა საბუთად არ გამოადგება. თავად კულტურა ქმედითობაა, შემოქმედებითი ნების ტიტანური დაძაბულობა და ძალისხმევა. სხვაგვარად კულტურა არ იქნება.

გერმანიის რაობის შესახებ კიდევ ორი ევროპული მწერლის - დანიელი კიოვერ ბრანდესის და ბელგიელი მორის მეტერლინკის - შეხედულებას გვაცნობს გრიგოლ რობაქიძე.

გაგრძელება იმდენად

ასლან აბაშიძის პარჯვენა ხელის „აჭარელი კასანდრას“, ასლანის თბილისელი გლიშვილებისა და სხვათა შესახებ...

მიხეილ მახარაძე

ბაბინა გავრძელდა ჩვენი ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის პროცესი, რის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად პოლიტიკანობის აღზევება გვესახება. ბოლო ხანებში ამ სენმა კვლავ იჩინა თავი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ღამის საჯილდო კვად გამხდარი აჭარის თემის ირგვლივ აჭარის ტელევიზიით ქბათუმის ყოფილი მერის თამაზ ხარაზის სენსაციური განცხადებამ - აჭარის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში სახელმწიფოს მეორე პირისა და პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის მიხაწილგების თაობაზე თითქოსდა ააფორიაქა ქართული პოლიტიკური ელჩა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს სკანდალიც მიუშვამთვება.

აღნიშნულ ფაქტს ოფიციალურმა პრესამ თითქმის დუმით აუარა გვერდი (საქართველოს პრეზიდენტის პრესცენტრისა და პოლიტიკური გაერთიანება „დედასაქართველოს“ განცხადებები საერთო ვითარებას ვერ შეცვლის ამ მიმართებით). რაც შეეხება თავისუფალ გაზეთებს, აქ უფრო სენსაციის მოყვარულთა შეჯიბრი იყო, ვიდრე ქვეყნისათვის ერთობ საშიში ტენდენციის საფუძვლიანი შეფასება. თუმცა ასეთ პოზიციას აქვს ერთგვარი გამართლება: საზოგადოება დაიღალა ამდენი აბსურდული ბრალდებებითა და მათი უპასუხოდ დატოვებით. როცა ასეთი ვითარებაა, მაშინ ასპარეზი სიერის მასობრივად რჩება.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების, პარლამენტისა თუ ინტელიგენციის წარმომადგენელთა პოზიციას. მაგრამ რის იმედი უნდა გვქონდეს, როცა ბევრი მათგანი ბათუმში ჩადის არა ვითარებაში გასარკვევად, საქმის არსის გასაგებად და სიტუაციის განსამუხტავად, არამედ წინასწარ იმ განწყობით, რომ გაამართლოს ბრალდებები, რითაც ნებისმიერ თუ უნებლიედ ახალ აქტივებს უწყობს ხელს.

ისიც ღიად უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში აჭარის თემის ირგვლივ ატეხილი აქტივობის - აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის პერსონასთან და მის ქმედებებთანა დაკავშირებული ვინც ამ საქმეში ჩაერთვება, როგორც წესი, ან მის პოზიციას უნდა დადგეს და მისი გამართლება სცადოს, ან კიდევ დაგმოს იგი.

ამასთან დაკავშირებით ხშირად პარადოქსული სიტუაციის უნებლიე მოწმეც ვხვდებით: აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მიმართ სიმპათიებს ვერ მალავენ და ერთ პოზიციასზე დგებიან როგორც ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს წევრები, ისე ერთ დროს მათი მოწინააღმდეგეები და გამსახურდიას ხელისუფლების ჩამოგდების აქტივისტები (სამაზე მეტი ბედის დაცინვა შეიძლება?). ამ დროს ხშირად საქმე იქამდე მიდის, რომ დაკარგულია ყოველგვარი ობიექტურობის გრძობა. ასე მაგალითად, ბ-ნი თემურ ქორიძე - მაშინდელი უზენაესი საბჭოს წევრი

იმდენადაა განწყობილი ამჟამინდელი, ხელისუფლების გმობისა და მისი რეალური ოპოზიციის - აჭარის ხელისუფლების მხარდაჭერის სურვილით, რომ აჭარის ხელმძღვანელის დამსახურებად მიიჩნევს რუსეთის დივიზიის აჭარის სამსახურში ჩაყენებას (იხ. გაზეთი „დრო“, 30.X.5.XI,1997). თუ ვერა-მუნებით თქორიძეს - ის, რაც მსოფლიოში დღემდე ვერაინ შეძლო რუსეთის საჯარისო ნაწილებთან მიმართებაში, შეძლო აჭარის ხელმძღვანელმა ყველაფერი კარგი იქნებოდა, რომ არა ბუნებრივი კითხვა: რატომ და რის ხარჯზე ჩადგება რუსის ჯარი შენს სამსახურში? ამ კითხვებზე პასუხი ბ-ნი თემურისთვის მივცინდა.

თქორიძე „აბსოლუტურ ცილისწამებად“ მიიჩნევს 1991 წლის აპრილში ბათუმში ჩატარებული მიტინგის ინსპირატორად აჭარის ხელისუფლების მიჩნევას. ამასთან იგი ისე თავდაჯერებულად ამბობს კობს და თავი მოაქვს საქმეში ჩახედულობით, რომ, ეტყობა, მან არ იცის მიტინგის წინა დამეს აჭარის ტელევიზიით ასლან აბაშიძის მოწოდება მოსახლეობისადმი და მაღალმთიანი რაიონებიდან მოსახლეობის ორგანიზებული ჩამოყვანა ბათუმში სპეციალურად მიტინგისათვის.

თქორიძე კატეგორიულად უარყოფს, რომ ასლან აბაშიძემ ზვიად გამსახურდიას აჭარის ავტონომიის გაუქმება აღუთქვა (რაც აღნიშნულია ბ-ნი როსტომ დოლიძის ინტერვიუში გაზეთი „დრო“, №37, 1997). ჩემის მხრივ პირად საუბრებიდან ვიცი, რომ იმ შეხვედრას, სადაც ამგვარი გარიგება მოხდა (ასლან აბაშიძის დაპირება ავტონომიის გაუქმებისთვის რეფერენდუმის მომზადება და ხელისშეწყობა) ზვიად გამსახურდიას კაბინეტში, ქადაგ ბათუმისა და აჭარის რეგიონის პრეფექტებთან ერთად ბ-ნი თქორიძეც ესწრებოდა.

ზოგიერთი დღევანდელი პარლამენტარი კი ისე გართულია აჭარის ხელისუფლების მამამებლობის სურვილით, რომ არაერთი ანგარიშს არ უწყევს ისტორიულ სინამდვილეს ასე მაგალითად, პარლამენტარი შალვა ნათელაშვილი გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ ინსერტებში „მუსლიმანურ საქართველოდ“, მის დამაარსებლად მემდეგ აბაშიძის მოხსენიებს (გაზეთი „ახალი თობა“, 12 ნოემბერი, 1997), რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მისი აღნიშვნით, ეს გაზეთი „ვიწმე ბენია ჩხიკვიშვილს“ დაუბურავს გაზეთის დახურვის ფაქტი ჩემთვის ნამდვილად უცნობია, მაგრამ ბენია ჩხიკვიშვილი თუ „ვიწმე“ იყო, ეს ნამდვილად პირველად გაეცემა. ისე კი შნათელაშვილმა უნდა იცოდეს, რომ „ვიწმე“ ბენია ჩხიკვიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს დროს ქობულისის თავი იყო, ხოლო შემდეგ საგანგებო რწმუნებული აჭარაში. ბენია ჩხიკვიშვილი, რომელსაც ახლახან დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა და ეს თარიღი აღინიშნა, როგორც მამულიშვილის თარიღი, დახურვის ბოლშევიკებმა.

ბენია ჩხიკვიშვილთან დაკავშირებით ერთი „პატარა“ ნიუანსი,

რასაც ვფიქრობ, გარკვეული როლი აქვს შესრულებული მის „ვიწმედ“ მოხსენიებაში. აჭარაში მოღვაწეობისას მისი მთავარი დასაყრდენი იყო მემდეგ აბაშიძის მთავარი პოლიტიკური ოპონენტი, მემდეგ აბაშიძისგან განსხვავებით აჭარის ავტონომიის მოწინააღმდეგე ჯემალ ხიმშიაშვილი (სედიმ ფაშა ხიმშიაშვილის პირდაპირი შთამომავალი, ასევე დიდი მამულიშვილის შერიგ ხიმშიაშვილის შვილი). არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რომ შნათელაშვილს ბენია ჩხიკვიშვილის „ვიწმეობა“ ბათუმში აქვს გავრცელებული.

არაფრის მოქმედი და დემაგოგური შნათელაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ პოსტ-საბჭოურ სივრცეში აჭარის ავტონომია ერთადერთია, რომელიც ცენტრს არ დაპირისპირებია რეალური ვითარება რომ სულ სხვაა, ეს ეტყობა დიდად არ აწუხებს ბ-ნი შალვას, ან იქნებ სულაც დაპირისპირების“ ცნებაში მას სხვა რამ ესმის აქ მთავარი ის გახლავთ, რომ მთელს საბჭოთა კავშირსა და ამჟამად პოსტსაბჭოურ სივრცეში აჭარის ავტონომიას ანალოგი არ გააჩნია და ქართული კაცისათვის, მით უმეტეს პოლიტიკოსობაზე რომ აქვს პრეტენზია, ეს უნდა იყოს დამფიქრებელი და არა ცენტრთან არდაპირისპირების გამოვლილი ვერსია.

რაც შეეხება ყარსის ხელშეკრულებას, რომელსაც დიდი რიხით გვახსენებს შნათელაშვილი, ურიგო არ იქნებოდა იმავე 1921 წლის მარტის თვის ხელშეკრულებების გახსენება, როცა მოსკოვი საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა საქართველოს ინტერესების უზღუდელყოფით მიადვიეს შეთანხმებას აჭარის ავტონომიის შესახებ, რაც შემდგომ საფუძვლად დაედო ყარსის ხელშეკრულებას.

ბოლო ხანებში აჭარის ხელისუფლებას, განსაკუთრებით რუსეთთან დამოკიდებულებაში სოლიდარობას უცხადებს პარლამენტარი ვახტანგ გოგუაძე. ისიც გაუიხსენოთ, რომ ცოტა ხნის წინათ ბატონმა ვახტანგმა სოციალისტური იდეების უპირატესობაზე საუბრით დამოძღვრა ჩვენი საზოგადოება, სოლიდარობა გამოუცხადა კომპარტისა და სტალინის სიყვარულზეც გამორეოთ თავი. ეს პირადი საქმეა, მაგრამ, როცა საბჭოთა წყობილების გამართლებას ვერაპული სოციალიზმით ცდილობ, ეს უკვე ან თავის მოტყუებაა, ან კიდევ საკითხის გამრუდება, რადგანაც ვერაპული სოციალიზმსა და საბჭოთა წყობილებას შორის ისევეა საერთო, როგორც რენესანსის ეპოქასა და ქვის ხანას შორის.

ბ-ნი ირაკლი თოდუა, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონია პირდადად შეხვედროდა ასლან აბაშიძეს, ბათუმში საკუთარი თვალთ ნახაჩი რეჟიმის ნიშნების გამო, ეს განხრა ხეა გადაუფიქრებია (იხ. გაზეთი „საგადა-დასაგალი“, 30.X.5.XI,1997). ბ-ნი ირაკლი დამაჯერებლად აღწერს ბათუმში გამეფებული ავტორიტარული რეჟიმის გამოვლინებებს, მაგრამ იქვე ასლან აბაშიძის ოპონენტებს საყვედურობს, რადგანაც მან ბათუმში ნამდვილი ქართული სული და

განწყობა იხილა. ეს აჭარელი კაცის დიდი შეურაცხყოფაა, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნებული და გამოტარებული მისი ქართული სული ერთ კაცს დღევანდელი რიცხვით ეთვლება დამსახურებად.

რას გესაყვედურობენ ოპონენტებს? იქნებ იმას, რომ არ ვიწმედებით ისტორიის გაყალბებაზე, გონიოს ციხის აბაშიძეთა საგვარეულო ციხე-სიმაგრედ გამოცხადებაზე (ცნობისათვის: გონიოს ციხე ძველი ცულთაროცხეის საუკუნეებშია აშენებული. იგი 1547-1878 წლებში თურქებს ეკუთვნოდათ. ბათუმელი თავადი აბაშიძეები კი აჭარაში იმერეთიდან გადმოვიდნენ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში), ფარნავაზ მეფის (ნეტარომელის?) მიერ აჭარის ცალკე სამთავროდ გამოცხადებაზე (აჭარა არასოდეს ყოფილა სამთავრო და არც მთავარი ყოფილა), ასლან აბაშიძის მოსვლა აჭარის ხელისუფლებაში, როგორც აჭარაზე აბაშიძეების კანონიერი უფლების აღდგენა კონსტიტუციური გზით (ისევე ცნობისადვის აბაშიძეები არასოდეს ყოფილან მთლიანად აჭარის მმართველები. რაც შეეხება მათ უფლებებს ქვემო აჭარაზე, ესეც გასარკვევია, რადგანაც კარის ისტორიკოსთა ნაუბარი უფრო თავდავირითების ისტორიას გვაგონებს. მზილი, აქვე ვიკითხოთ: რატომ ხდება დღეს ხიმშიაშვილთა ღვაწლის უზღუდელყოფა და თავდავირითთა ისტორიის იგნორირება?

ან ის არის შესაწყნარებელი, რომ აჭარაში ჩამოყალიბდა რაღაც შეაბიური სახალხო კრება. ჩვენი პარლამენტარები პრესკონფერენციაზე რიხით რომ აცხადებენ - აჭარის ავტონომია რომ არ ყოფილიყო, ახლა უნდა შეგვექმნა იგი, ამის ნაცვლად იქნებ ამ საკითხით უფრო დაინტერესებულიყვნენ, თუ რა სახის გამოვლენებია ამ კრებაზე, განსაკუთრებით იქ შეუწყებულ თბილისელ ბედისმამობელთა მხრიდან მაშინ ხომ კარგად გამოჩნდება, ვინ ცდილობს დაპირისპირებას ცენტრსა და რეგიონს შორის?...

ზოგიერთი გაკვირვებულიც შეიძლება იყოს ბათუმის ერთ-ერთი სკვერიდან გალაკტიონის ძეგლის „აოროტლებით“ წარმოდგინეთ, პარლამენტში ამ ფაქტის გამართლებასაც შეეცადნენ. მაგრამ, როცა ილიას გვერდით უაქვალციოდ, როგორც სწორი სწორთან, მემდეგ აბაშიძეს დააყენებენ, გასაკვირი არაფერია და ბათუმის ცენტრალურ სკვერში გალაკტიონის ძეგლისათვის ადგილი აღარ დარჩება. თუ ასე გავრძელდა, ხედავ შეიძლება აკაკის ბიუსტიც დაგვეპაროს“ (თუ უკვე არ დაკარგულა!) და არც სხვების ძეგლებსაც დაადგეს კარგი დღე.

ურიგო არ იქნება იმის გახსენება, რომ ფრაქცია „დლორძინების“ წევრმა ვახტანგ აბაშიძემ ფრაქციიდან გასული შეიძინა წევრი თავიანთი გვარ-ჯილაგისა და შთამომავლობის წინაშე დაადანაშაულა ღალატის გამო. განა სხვა ფრაქციებში არ მომხდარა მსგავსი რამ? „დლორძინება“ რა ისეთი წითელი კვერცხია, რომ მისი რიგების დატოვება ასე მძიმე ბრალდე-

ბად დაუფლეთ „განდგომილებს“. მაგრამ, როცა ფეოდალური ცნობიერება ზეობს, ასეთი შეკითხვის დასმა უადვილოა!

მკითხველს ემასხვრება, თუ რა დიდი ავიოტაჟი ატყდა ერთი მცდარი ინფორმაციის გამო, რომლის თანახმადაც საქართველოში სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად 6% აჭარელი ცხოვრობს მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტია, მაგრამ ხშირად ხომ ჩვენი დაუდევრობა ასეთი ინფორმაციის წყარო? აი ამის ახალი მაგალითი. როგორედ უფლები - აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი, ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელი - „აჭარელი კასანდრა“, როგორც ეს ერთმა გაზეთმა მონათლა, ვისაც თავი მოაქვს ალა პუგაჩოვას, პიტ სამპრასთან და სხვებთან მეგობრობით, მგონი აღარც ახსოვს, რომ საქართველოს დედაქალაქი თბილისია, თუმცა მის საზღვარგარეთულ ვითარებას თელა არა აქვს პოდა, ეს ჩვენი ღლირიდე ზარზუიმით აცხადებს, რომ იგი „ახალი აჭარელია“. ამგვარი უბედოლო ხუმრობა, რომ ჩვენი ცნობიერების გახლეჩას უწყობს ხელს, ეს ეტყობა მას სულაც არ აღუდგება.

ზოგიერთი ჟურნალისტი მარჩილებს, რომ ასლან აბაშიძის მიერ სამი ათეული დეპუტატის გარეკვა აჭარის უზენაესი საბჭოდან ხომ არ გახდება ცენტრალური ხელისუფლების მსჯელობის საგანი. უცნაურია ამაზე ფიქრი. აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნები საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევით ჩატარდა. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კანონის თანახმად თანამდებობის პირი არ შეიძლება საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყოს. მაშინ როცა აჭარის უზენაესი საბჭო თითქმის სანახევროდ სწორედ თანამდებობის პირებით - მინისტრებითა და გამგებლებით დაკომპლექტდა და ვინ ამოიღო მაშინ ამაზე ხმა?

დასასრულს იმის თაობაზე, თუ რატომ გახშირდა სხვადასხვა მრწამსისა და შეხედულების პოლიტიკოსთა ვიზიტები აჭარაში. წინა პარლამენტში დიდ თანამდებობაზე მყოფი პარლამენტარები ძნელად ეპუებან პოზიციების დაკარგვას და „ოპოზიციის“ გადაინაცვლებს. ეს კი მომავალ არჩევნებში მათ მანსებს ერთობ მიხერულს ხდის. ისინი გამოსავლეს ეძებენ და ამიტომაც შექმნეს ახალი კოალიცია - „ახალი საქართველო“ და თუ მომავალშიც ისე ჩატარდება არჩევნები, როგორც ადრე, მაშინ ასლან აბაშიძის ზურგით ისინი კვლავ მოვლენ პარლამენტში. ეს ხელს უნდა აძლევდეს ასლან აბაშიძეს, მით უმეტეს, რომ „სრულიად საქართველოს კლერის“ კავშირშია“ ვერაფრით გამოიჩინა თავი პარლამენტში, მნიშვნელოვანი ძალა გამოაკლდა და ნამდვილად საჭიროებს სისხლის გადასხმას.

რაც ახლა ითქვა, თუ ყველაფერი ამ სცენარით წარიმართა, მაშინ სახელმწიფო პოლიტიკის გვერდით მნიშვნელოვანი ძალა კვლავ პოლიტიკანთა ხელში აღმოჩნდება. ამგვარი პოლიტიკით კი მხოლოდ ისეთ ნაყოფს მოვიწვეთ, რასაც პოლიტიკანობის ხეულში პოლიტიკანები დათესავენ.

აფხაზური სეპარატიზმი და მისი შედეგები

1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება გაერთიანდა სამხედრო, საფინანსო, სახალხო მეურნეობის, ოუსტრეიის, საზღვაო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატები, ფოსტატელეგრაფი, საგანგებო კომისია, საგარეო საქმეთა კომისარიატი რჩებოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სრულ გამგებლობაში. ამის შემდეგ 10 წლის განმავლობაში აფხაზეთი იხსენიებოდა სახელშეკრულებით რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში ასეა დაფიქსირებული ორივე მხარის საბჭოების ყოფილობის გადაწყვეტილებებში და საქართველოს პირველ საბჭოთა 1922 წლის მარტში მიღებულ კონსტიტუციაში.

საბჭოური იმპერიული ძალების ზეწოლის გამო საქართველოს რევოლუციური დეკლარირებული აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა ქართველი, რუსი და თეთი აფხაზი პოლიტიკური მოღვაწეების უმრავლესობის მიერ აღიქმებოდა, როგორც ამ რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის გამომწვევი დროებითი აქტი.

1922 წლის თებერვალში საქართველოს კ (ბ) საოლქო კონფერენციაზე აფხაზეთის ერთ-ერთი დიდერი ნ.ლაკობა ამბობს: „როცა ჩვენ, აფხაზეთის პასუხისმგებელმა მუშაკებმა მიემართეთ უფროს პარტიულ ამხანაგებს, რომ ისეთ მცირე ერთეულებს, როგორცაა აფხაზეთი, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის გვეტყვიან აფხაზეთი ერთი წუთით გამოეცხადებოდა დამოუკიდებელი რესპუბლიკად, ჩვენ გვიპასუხეს „გამოეცხადეთ დამოუკიდებელი რესპუბლიკა ამ ერთ ციქვან აფხაზეთში, ოღონდ ხელი შეეწყოს საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებას და მის განმტკიცებას“.

გაზეთი „გოლის ტრუდოვი აფხაზი“ ამ პერიოდში წერდა: „ცალკე დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა საჭირო თუ იყო ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში, შემდგომში ასეთი დამოუკიდებლობა მხოლოდ ენებს მშრომელთა ინტერესებს“.

1922 წლის მაისში საქართველოს კ (ბ) საოლქო კონფერენციაზე ნ.ლაკობა გულახდილად აღიარებდა: „მართალია ჩვენ სუვერენული სახელმწიფო, საბჭოთა სახელმწიფო ვართ, მაგრამ არა დამოუკიდებელი. ეს ჩვენ უნდა გეცოდინოდა, ჩვენ უნდა გეტყქვა რომ ეს პოლიტიკური ფორმები, დამოუკიდებლობის გამოცხადება და ა.შ. სისულელეა, ამ ცდუნებას არ უნდა აყვავდეთ ჩვენ გუნდოდა აბრა, ჩვენ ის გამოვკაროთ, მაგრამ მის თაყვანისმცემლებად განვხილავთ არ იყო საჭირო“.

1924 წლის 8 მაისს საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ნ.ლაკობა ანეთარებს თავის აზრს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის შესახებ. იგი ამბობდა: „თუ ისტორიული თვალსაზრისით მოუდგვებით აფხაზეთს, რა თქმა უნდა, აფხაზეთს არავითარი როლის შესრულება არ შეუძლია კავშირის წინაშე თუ გინდ მის გამო, რომ ამ ხალხს არ გააჩნია არც თავისი ისტორია, არც დამწერლობა და ლიტერატურა“.

აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადება რომ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ამას იხილავს მტკიცებებს, რომ იგი, როგორც ამიერკავკასიის ფედერაციის, ისე საბჭოთა კავშირის პარტიულ და საბჭოთა დოკუმენტებში არ ფიგურირებს, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში კი შეტანილია, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა აფხაზეთი არასდროს არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მოუხედავად ამისა აფხაზეთი ოცინი წლები ბოლომდე იწოდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

1930 წლის აპრილში აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) მესამე სესიამ დაადგინა, რომ აფხაზეთის კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნას სახელწოდება „სახელმწიფო რესპუბლიკა“ და შეიცვალოს იგი სიტყვებით „ავტონომიური რესპუბლიკა“. 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ მიიწონა აფხაზეთის ცაკის გადაწყვეტილება და დაადგინა: „აფხაზეთი შექმნილი იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ავტონომიურ საწყისებზე“. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიწინებულ იქნა საქართველოს საბჭოების VI ყრილობის მიერ (1931 წ. თებერვალი).

აფხაზი საზოგადოებრიობის ნაწილი ვერ გააკრძებდა დას. იხ. „საქართველო“ № 112

განთავსებულა იმ აზრისაგან, რომ თითქოს ქართველმა ხალხმა წართუა აფხაზეთს სუვერენული რესპუბლიკის სტატუსი და აქცია ავტონომიურ რესპუბლიკად.

მცდარ საზოგადოებრივ აზრს პრაქტიკული საბოტაჟი ნაბიჯებიც მოჰყვა. 1931 წლის 18-26 აპრილს სოფელ დუროვში გამართა ხალხმრავალი (ანტიქართული) „აფხაზთა საერთო ეროვნული ყრილობა“. ამის შემდეგ აფხაზური სეპარატიზმი კარგა ხანს სდუმდა. ხოლო 50-იან წლებიდან კვლავ იჩინა თავი ე.წ. „აფხაზთა საკითხმა“, რომლის შესახებ უკანაბრდა წერილობით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებს, პირადად ნ.ხრუშჩოვს, ლ.ბრეჟნეფს, იანდროპოვს, მ.გორბაჩოვს და ა.შ. ამ პროცესის ყოველ ათ წელიწადში რეგულარული ამოქმედება აშკარად მინიშნებდა მის დამკვიდრება-მორგანობის მიზანს. ასე იყო 1956, 1967, 1978 და 1988 წლებში, რომელსაც მოჰყვა 1989 წლის ტრაგიკული მოვლენები და 1992 წლის აგვისტოს ომის პროვოცირება.

გამომწვევი აფხაზური სეპარატიზმის მესვეურნი და მისი სულიწამდამენი რუსეთის იმპერიული ძალებმა, რომლებიც ხელისუფლებს ქმნიდნენ აფხაზებსა და ქართველებს შორის დიამეტრულად, სათანადო საუბრის მომზადების შემდეგ მოინდომეს საქართველოს დასჯა მორიგი „ურჩობისათვის“, რაც სსრ კავშირიდან გამოსვლისა და სსრ-ში გაერთიანებაზე თაყვანისმცემლობაში გამოხატა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან ერთ-ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა აფხაზეთი, სადაც ანტიდემოკრატიული ძალებმა შესძლეს ისეთი უმადლესი საბჭოს ფორმულირება, რომელიც აგრესიული სეპარატიზმის გაღვივებისა და

მათი ჩანაფიქრის რეალიზების შესაძლებლობას ქმნიდა. საამისო პირველმა აქციაზე არ დააყოვნა.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმადლესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის ასრ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. მართალია, საქართველოს სსრ უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით აფხაზეთის უმადლესი საბჭოს 25 აგვისტოს გადაწყვეტილება გააუქმებულად გამოცხადდა, მაგრამ რაიმე სტრატეგიული ქმედება მის ფაქტობრივ გასაბათილებლად არ განხორციელებულა.

1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის უმადლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ულანდის დ. არიბა, რომელმაც გზა გაუხსნა რუსეთიდან ათეულობით „სპეციალისტების“ ჩამოსვლას აფხაზეთის სამინისტროებში წამყვანი თანამდებობების დასაკავებლად. ვარძინამ მოკლე პერიოდში მოახერხა აფხაზეთის უმადლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის ისეთ-ნაირად შეცვლა, რომელმაც 1991 წლის დეკემბრის არჩევნებში უზრუნველყო აფხაზეთის აშკარა პრივილეგირებული მდგომარეობა. აფხაზეთის საერთო მოსახლეობის 18-მა პროცენტმა აფხაზმა ერთენამ უმადლეს საბჭოში გაინაგა 28 დეპუტატის არჩევა, მაშინ როცა ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებთა 46 პროცენტმა ქართველებმა აირჩია მხოლოდ 26 დეპუტატი.

ვალერიან ბენიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

განმარტება შემდეგ ნომერში

პირი პიყვიით, რომ გასულ წელთან შედარებით ფოთში სეპარატიზმი კრიზისშია

წითელი მდგომარეობა არცთუ სახარბიელია. ბოლოდროინდელი გართულებების ფონზე ოქტომბრის თვეში ადგილი ჰქონდა დამანაშავე ელემენტების საგრძობ გააქტიურებას. გეითხრა ფოთის პოლიციის სამმართველოს უფროსმა იური კვარაცხელიამ.

ამ პერიოდში კრიზისი სიტუაცია სასიათდება გარკვეული სახის დანაშაულების ხედილით წინის ზრდით. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა: პირადი ქონების ქურდობა, მარცვა და ყანალობა, დანაშაულის ფაქტების გახსნის მანქანებელი დაბალია. მაგრამ ეს მანქანებელი არამც და არამც არ გამოხატავს ფოთის პოლიციის მუშაობას ეფექტიანობას, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის დანაშაულის წინააღმდეგ.

ფოთის პოლიციის სამომავლო გეგმა, გარკვეულწილად კადრების რეფორმა, სისხლის სამართლის სამსახურის მუშაობის სტილის გარდაქმნა, აუცილებელია დანაშაულთან ბრძოლის გამკაცრება. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს იმ კრიმინალური დაჯგუფების დაკავება, რომლებიც მშვიდად გრძობენ თავს და ჩადენილი დანაშაულისთვის ვერ პასუხის არ უკითხა.

პარალელურად მიმდინარეობს პროფილაქტიკური სამუშაოები არასრულწლოვანთა დანაშაულების საქმეში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ გარკვეული წარმატებები მოპოვებული. შარშანდელი 20 ფაქტის მაგივრად, წელს მხოლოდ ორჯერ იქნა დაფიქსირებული არასრულწლოვანთა დანაშაულების შემთხვევა.

იმის თქმა, რომ ფოთში კრიზისი უფროსაზრისით სწორად მდგომარეობაა, გადაჭარბებული იქნება. სტაბილური მაშინ იქნება სიტუაცია, როცა დანაშაულები წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით დამთავრდება. ფოთის პოლიციის სამმართველოს უფროსი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში დასახული მიზნები წარმატებით შესრულდება.

ნანა კვიციანი

პროსპირადი


	1	2	3	4	5
6				7	
		8			
			9		
10	11	12		13	14
			15	16	
17				18	
			19	20	
21	22			23	24
			25	26	
			27		
28				29	

თარაზულა: 6. მახარა; 7. რძის ნაწარმი; 8. ინგლისის საინფორმაციო სამსახური; 9. აზიის სახელმწიფო; 10. წიწვოვანი ხეების თავთაის მკვასი ყვავილელი; 13. ძიძა; 15. რუსი მწერალი; 17. ორატორულ ხელოვნებას დაუფლებული გამოჩენილი მოღვაწე; 18. სამეჯლისო ცეკვა; 19. ყოფაქცევის ნორმები, ზნობა, მორალი; 21. ვარეული ცხოველი; 23. დასრული, აღმაცერი; 25. პარიზის კომუნის მონაწილე; 27. შავი ზღვისპირა საკურორტო ქალაქი; 28. ისტორიული ძეგლი საქართველოში; 29. ქართული ყურნალი.

შეშულა: 1. ძველი ქართული სპორტული თამაში; 2. წელიწადის თვე; 3. რიგითი მეზღვაური; 4. მოვერცხლისფრო ლითონი; 5. მცონელი ცხოველი; 11. აპარატი, რომელშიც გაერთიანებულია რადიომიმები და ფირსაკრავი; 12. ესპანეთის ისტორიული ოლქი; 13. რუსი საბავშვო მწერალი; 14. ქართველი მწერალი; 15. აღდომის ნაწარმების პერსონაჟი; 16. პირველი მარქსისტულ-ლენინისტური გაზეთი; 20. მდინარე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით; 22. ნახევარი გამარჯვების მიმანიჭებელი ილეთი კარატეში; 24. ყურძნის წვენი; 25. ფილმის „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“ პერსონაჟი; 26. აზიის სახელმწიფო.

თამაშის გამართვა

მანანა მახარაშვილის ხსოვნა



ჩვენი გაზაფხულით მშენიერო და წარმატებულ მანანა! შენი სილამაზით გაცხებულს, არ შეიძლება, პოეტის სიტყვები არ განსვენებოდა: „შენ საქართველოს დღეაფლობა და მშენებლობა“.

ხშირად იმეფუნად წასულთა ხსოვნას დარჩენილები საგანგებოდ აღმაშენებენ, შენს სახეს არ სჭირდება გალამაზება. შენ თავად იყავი ლამაზი - შენში იმეფით პარმონიით იყო შენთვის გაღვივებული მომზიბელოება და სულის სილამაზე.

ძნელია შენი დამყარავი ახლობლების ნუგეშისცემა. შენ ხომ სამაგალითო შეილი, მზრუნველი და უსაზღვროდ მოსიყვარული დედა და მეუღლე იყავი, „სასე ქართული პატისნებით“...

ძალიან გიყვარდი მეგობრები და ჩვენც ძალიან გვიყვარდი. თითქმის ორი წელია, შენს სიყვარულს შიშით და ტყვილით ვატარებდით, სასწაულს ველოდით, არ მოხდა... ახლა ეს ტყვილი სიცოცხლის ბოლომდე გაგვეყვება!

როგორ გვიხაროდა შენთან ყოფნა. ჩვენი შეხვედრები ზეიმები იყო. შენ თვითონ იყავი პატარა დღესასწაული, ყველაფერი ლამაზი და სიყვარულს აფრევდი! შენი სულის სილამაზე სიუბე, ქართული მასპინძლობა ყველას ერთნაირად ხიზლავდა. არ ყოფილხარ დიდი საზოგადო მოღვაწე, მაგრამ შენი სიყვით მთელი ჩვენი პატარა რუსთავი გიცნობდა. გვერა, შენი ზვიადი და ნატოც კარგი ქართველები დადგებან, შენს ხსოვნას არ შეატყვენენ. მათ სხვა უფლება არა აქვთ.

ჩვენი ლამაზო გოგო! სულთ ხორცამდე ქართველო! უსაზღვრო სიამეს განიჭებდა ყველაფერი ქართული. როგორ გიყვარდა ქართული სიმღერა, ქართული ცემა, ქართული სიტყვა და ლექსი... იმღერეთო, - სულ გვეხვეწებოდით, სიკდილის წინაც ქართულ სიმღერას გვთხოვდა...

ახლა ისევ შეეჩიბებით შენი მეგობრები უშენოდ. უშენოდ ჩვენი შეხვედრებს აღარ ეწეება ის ეშვი და ლაზათი, ჩვენ მაინც ვიქნებით ერთად, რომ ხშირად გავისწინოთ ჩვენი ლამაზი ფერა, ჩვენგან ნაადრევად წასული სიყვარული. მშვიდობით, ჩვენი ძვირფასო, შენი სიბოლის და სიყვარულის წელ მიგვეგება ჩვენი სიბო, სიყვარული და ცრემლი.

მშვიდად განისვენე, მუზეუმი იყოს შენთვის. შენი სათაყვანო ქართული მიწა.

შენი უახლოესი მეგობრები 80-17 სკოლიდან

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>ნოდარ ბრიგალაშვილი</p>	<p>გაზეთის მთავარი:</p> <p>რედაქტორი: 93-20-36, რედაქტორის მთავარი: 93-18-41</p>	<p>რედაქციის მისამართი:</p> <p>თბილისი, თავისუფლების მოედანი, კურონის ძ. 5</p> <p>გაზეთის ინდექსი 66447</p> <p>ფასი 50 თეთრი</p>	<p>დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია</p> <p>რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444</p>
--	---	--	--